

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №461

2015 წლის 7 სექტემბერი

ქ. თბილისი

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“.

მუხლი 2

ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ დაფინანსება განხორციელდეს „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ქვეპროგრამიდან – „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი 37 01 05).

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №69 – ვებგვერდი, 12.02.2016წ.

მუხლი 3

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიეცეს უფლება, ამ დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება №546 - ვებგვერდი, 27.10.2015წ.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“ (შემდგომში – პროგრამა) წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დარგში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერის ერთ-ერთ ღონისძიებას, რომელიც ხორციელდება საქართველოში თავლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების პირველად წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისათვის.

2. პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და წარმოებული თავლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა.

3. პროგრამის ამოცანებია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კაპიტალური ინვესტირების განხორციელება და მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ა) მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი (შემდგომში – კოოპერატივი) – იურიდიული



პირი, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და რომელსაც „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მინიჭებული აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი;

ბ) პრეტენდენტი – კოოპერატივი, რომელიც პროგრამაში მონაწილეობის მიზნით წარადგენს განაცხადს;

გ) მონაწილე – კოოპერატივი, რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება პროგრამაში მონაწილეობის შესახებ;

დ) ხელშეკრულება – მონაწილეს, განმახორციელებელსა და მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც პროგრამის ფარგლებში განსაზღვრავს მხარეების უფლებებსა და ვალდებულებებს;

ე) მოწყვლადი ჯგუფი – ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც მოკლებულნი არიან გარკვეულ პრივილეგიებს ან ხელი არ მიუწვდებათ ისეთ საზოგადოებრივ ასპექტებზე, როგორებიც სხვებისათვის ადვილად ხელმისაწვდომია. მოცემული პროგრამის მიზნებისათვის მოწყვლად ჯგუფებად ითვლებიან დევნილები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები;

ვ) მიმწოდებელი – პირი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში ახორციელებს საჭირო საქონლის ან/და მომსახურების მიწოდებას.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №69 – ვებგვერდი, 12.02.2016წ.

მუხლი 3. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი მხარდაჭერა

1. პროგრამა ითვალისწინებს კოოპერატივების, როგორც ხის (რუტის – 10-ჩარჩოიანი, ორი ბუდისა და ორი საკუჭნაო კორპუსით, დაკომპლექტებული 20 ბუდის ჩარჩოთი, დადანის – 10-ჩარჩოიანი, ორი ბუდისა და ერთი საკუჭნაო კორპუსით, დაკომპლექტებული 20 ბუდის ჩარჩოთი) ან/და პენოპოლისტიროლის (ორსართულიანი პოლისტიროლის მასალის დადანბლანტის სკა) სკებით, თაფლის საწურით (ციბრუტებით) და სურსათთან შეხებაში მყოფი პლასტმასის მასალისგან დამზადებული თაფლის შესანახი ავზებით აღჭურვაში კაპიტალურ ინვესტირებას, ასევე ტექნიკურ მხარდაჭერას.

2. პროგრამაში მონაწილეობისათვის კოოპერატივი უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს და უნდა შეასრულოს პროგრამის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები.

3. პროგრამა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) კაპიტალური ინვესტირება;

ბ) ტექნიკური მხარდაჭერა.

4. პროგრამის გეოგრაფიული არეალი მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ოქტომბრის დადგენილება №546 – ვებგვერდი, 27.10.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №69 – ვებგვერდი, 12.02.2016წ.

მუხლი 4. საინფორმაციო კამპანია

1. პროგრამის შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება საინფორმაციო კამპანიის მეშვეობით, რომელიც მოიცავს ინფორმაციის მიწოდებას მედიასაშუალებების, მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრებისა თუ სხვა მექანიზმის გამოყენებით.

2. მოსახლეობასთან შეხვედრების მიზანს წარმოადგენს კოოპერატივების წევრებთან/პოტენციურ



წევრებთან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ძირითადი დანიშნულებისა და პრინციპების, ასევე პროგრამის არსისა და მასში მონაწილეობის პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

მუხლი 5. ტექნიკური მხარდაჭერა

1. მონაწილე მიიღებს ტექნიკურ დახმარებას „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის №714 დადგენილების ძირითადი მოთხოვნების დანერგვასთან დაკავშირებით.

2. მონაწილეს უფლება არ აქვს, უარი თქვას ტექნიკური დახმარების მიღებაზე და ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შეასრულოს სწავლების ან/და კონსულტაციების ფარგლებში მიღებული მითითებები და რეკომენდაციები.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №69 – ვებგვერდი, 12.02.2016წ.

მუხლი 6. კაპიტალური ინვესტირება

1. პროგრამის ფარგლებში, თითოეული მონაწილისათვის განხორციელდება თანადაფინანსებით, გრანტის სახით, სკების, თაფლის საწურების (ციბრუტების) და თაფლის შესანახი ავზების გადაცემა მათი ღირებულების 30%-ის ოდენობით.

2. იმ მონაწილეებს, რომელთა მეპაიეების 50%-ს შეადგენენ მოწყვლადი ჯგუფები, ამ პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი კაპიტალური ინვესტირება გადაეცემათ მათი ღირებულების 20%-ის ოდენობით.

3. მონაწილეებს გადაეცემათ მათ საკუთრებაში არსებული სკების იდენტური რაოდენობა, მაგრამ არაუმეტეს 100 ცალისა, 1 ცალი 12-ჩარჩოიანი თაფლის საწური (ციბრუტი) და თაფლის შესანახი ავზები, მოთხოვნის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 2 200 ლიტრის ტევადობისა.

4. ის მონაწილე, რომელსაც ამ პროგრამის ფარგლებში უკვე გადაეცა სკები, დამატებით სკების მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, განაცხადის წარდგენამდე გაზარდოს მის საკუთრებაში არსებული სკების რაოდენობა მოთხოვნილის იდენტური ოდენობით.

5. განმახორციელებელი უზრუნველყოფს როგორც მონაწილის საკუთრებაში არსებული, ისე კაპიტალური ინვესტირების ფარგლებში მონაწილისათვის გადაეცემული სკების აღრიცხვა/რეგისტრაციას.

6. სკების აღრიცხვა/რეგისტრაცია განხორციელდება სკაზე შესაბამისი ნიშნის დამაგრებით, რომელზეც დაიტანება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლოგო, სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ლოგო, QR კოდი, ინდექსი „GEBB“ და 8-ნიშნა საიდენტიფიკაციო კოდი.

7. მონაწილეს, ამ პროგრამის მე-7 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეუძლია, კაპიტალური ინვესტირების ფარგლებში მოითხოვოს ნებისმიერი მისთვის სასურველი აღჭურვილობა როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №69 – ვებგვერდი, 12.02.2016წ.

მუხლი 7. პროგრამაში მონაწილეობის მიღების პირობები

1. პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს იმ პრეტენდენტს, რომელიც მონაწილეობაზე განაცხადის წარდგენისას აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) საქმიანობას ახორციელებს მეფუტკრეობის დარგში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია ბიზნესოპერატორად;

ბ) საქმიანობას ახორციელებს „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონისა და კოოპერატივის წესდების შესაბამისად;



გ) განაცხადის წარდგენის მომენტისათვის განმახორციელებლისგან არ აქვს მიღებული რეკომენდაცია საქმიანობაში დაფიქსირებული ხარვეზის გამოსწორების შესახებ ან/და მსგავსი რეკომენდაცია მიღებული აქვს და ხარვეზი გამოასწორა;

დ) მეპაიეთა რაოდენობა იმ მაღალმთიან დასახლებებში, რომლებზეც ვრცელდება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, არ არის 5-ზე ნაკლები, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე – 11-ზე ნაკლები;

ე) იმ შემთხვევაში, თუ წევრები არიან სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, მეპაიეთა რაოდენობა იმ მაღალმთიან დასახლებებში, რომლებზეც ვრცელდება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, არ არის 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე ნაკლები, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე – 5 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე ნაკლები;

ვ) არ გააჩნია საგადასახადო დავალიანება;

ზ) არ გააჩნია ვადაგადაცილებული საკრედიტო დავალიანება;

თ) სკების მოთხოვნის შემთხვევაში, იმ მაღალმთიან დასახლებებში, რომლებზეც ვრცელდება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, საკუთრებაში აქვს არანაკლებ 30-ისა, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე რეგისტრირებული კოოპერატივების შემთხვევაში – არანაკლებ 60 სკისა;

ი) თაფლის საწურების (ციბრუტების) და თაფლის შესანახი ავზების მოთხოვნის შემთხვევაში, იმ მაღალმთიან დასახლებებში, რომლებზედაც ვრცელდება „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედება, საკუთრებაში აქვს არანაკლებ 200-ისა, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე – არანაკლებ 400 სკისა.

2. (ამოღებულია - 11.02.2016, №69).

3. (ამოღებულია - 11.02.2016, №69).

4. პრეტენდენტის მიერ წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას განსაზღვრავს სააგენტო.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №69 – ვებგვერდი, 12.02.2016წ.

მუხლი 8. პროგრამაში მონაწილეობაზე ელექტრონული განაცხადის წარდგენა

1. პრეტენდენტთაგან პროგრამაში მონაწილეობაზე განაცხადის მიღება წარმოებს ელექტრონული ფორმით, განმახორციელებლის მიერ წინასწარ განსაზღვრულ ვადებში, რომელიც არ უნდა იყოს 15 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

2. განაცხადის წარდგენა შესაძლებელია სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. განაცხადის წარდგენის შემდეგ ხორციელდება მისი რეგისტრაცია.

4. რეგისტრაციის დროს პრეტენდენტის მიერ შესაბამისი მონაცემების არასწორად წარდგენის შემთხვევაში, მას განმახორციელებელი უგზავნის შეტყობინებას ხარვეზის არსებობასთან დაკავშირებით, რომლის გამოსასწორებლად განესაზღვრება 5 სამუშაო დღე. შეტყობინების გაგზავნა ხდება პრეტენდენტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართზე და ძალაში შედის გაგზავნისთანავე.

5. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ არ მოხდება ხარვეზის აღმოფხვრა დადგენილ ვადაში, განაცხადი დარჩება განუხილველი.

6. რეგისტრაციის ფორმას განსაზღვრავს განმახორციელებელი.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №69 – ვებგვერდი, 12.02.2016წ.

მუხლი 9. მონაწილის ვალდებულებები



1. მონაწილე ვალდებულება:

ა) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში გადაიხადოს სკების, თაფლის საწურების (ციბრუტების) და თაფლის შესანახი ავზების ღირებულების 30%, ხოლო მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში – 20%, საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული წესით;

ბ) დაიცვას პროგრამის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მეპაიეთა მინიმალური რაოდენობა ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის განმავლობაში;

გ) განმახორციელებლის მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომელიც არ უნდა იყოს რეგისტრაციის დასრულებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები, უზრუნველყოს ამ პროგრამის მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული თანამონაწილეობის შესაბამისი თანხის კოოპერატივის ანგარიშზე არსებობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენა;

დ) 2018 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს კაპიტალური ინვესტირების ფარგლებში მიღებულ სკებში ფუტკრის ახალი ოჯახების განთავსება;

ე) ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის განმავლობაში არ დაუშვას მიღებული სკების, თაფლის საწურების (ციბრუტების) და თაფლის შესანახი ავზების გასხვისება, გარდა განმახორციელებლის წინასწარი ნებართვით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე ამ პროგრამით გათვალისწინებული პირობებით გასხვისებისა;

ვ) პროგრამის ფარგლებში, მის საკუთრებაში არსებულ სკებზე არ დაუშვას რეგისტრაციის ნომრის წაშლა ან/და რაიმე სახის ხელყოფა, რომლის შემდგომაც არ იქნება შესაძლებელი მისი ამოკითხვა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისას, მონაწილე ვალდებულება დაუყოვნებლივ აცნობოს განმახორციელებელს.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის დადგენილება №69 – ვებგვერდი, 12.02.2016წ.

მუხლი 10. მონაწილის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები

1. მონაწილის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, განმახორციელებელი მონაწილეს განუსაზღვრავს შესაბამისი ვალდებულების შესრულებისათვის დამატებით ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. მონაწილე ვალდებულება აღნიშნულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.

2. განმახორციელებლის მიერ დაწესებული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, წყდება მონაწილესთან დადებული ხელშეკრულება.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მონაწილე ვალდებულება, ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს მიღებული კაპიტალური ინვესტირების (თანხის) სრულად დაბრუნება სახელმწიფო ბიუჯეტში.

მუხლი 11. პროგრამის მონიტორინგი

1. პრეტენდენტის პროგრამის მე-7 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობას და მონაწილესთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების საველე ან/და დოკუმენტურ მონიტორინგს უზრუნველყოფს განმახორციელებელი.

2. საველე და დოკუმენტურ მონიტორინგს ექვემდებარება როგორც პრეტენდენტი, ასევე მონაწილე, პროგრამის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე.

3. მონაწილე პროგრამის ფარგლებში მონიტორინგს ექვემდებარება 5 წლის განმავლობაში.



მუხლი 12. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამის განმახორციელებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო.
2. პროგრამის განხორციელების კოორდინაციას ახდენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
3. პროგრამის ფარგლებში საინფორმაციო კამპანიის წარმართვას, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განმახორციელებელთან ერთად უზრუნველყოფს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები.

